



აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

ACADEMIC BOARD OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

1 მარტი, 2018

დადგენილება №66(17/18)

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნესუწყვეტობის
უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ**

დამტკიცებულ იქნას სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში
ბიზნესუწყვეტობის უზრუნველყოფის მექანიზმები თანდართული ფორმით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
უნივერსიტეტის რექტორი:

პროფ. გიორგი ღავთაძე

ბიზნესუწყვეტობის უზრუნველყოფის მექანიზმები

ბიზნესუწყვეტობის უზრუნველყოფის მექანიზმების მიზანია უზრუნველყოს ფორსმაჟორულ სიტუაციებში უნივერსიტეტის შეუფერხებელი საქმიანობა.

შესაბამისი მექანიზმების შემუშავებას, განხორციელებასა და უშუალო კონტროლის ახორციელებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხოლო ზოგადი კონტროლი უნივერსიტეტის რექტორს.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, შესაბამის სამსახურებთან ერთად ახდენს დროული რეაგირებას ყველა იმ საშიშროებაზე თუ პრობლემაზე, რომელიც ხელს უშლის საუნივერსიტეტო სივრცეში სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობას.

უნივერსიტეტის ბიზნესუწყვეტების ინციდენტების სიტუაციებში წარმოქმნილ გარემოებას განიხილავს, როგორც რისკებს, როლებსაც შეუძლია მოხდინონ უნივერსიტეტის საქმიანობის ნაწილობრივ შეფერხება და რიგ შემთხვევაში - სრულ პარალიზებაც.

რისკის მართვა წარმოადგენს რისკის განსაზღვრის, შეფასების, მონიტორინგის და რისკის მისაღებ დონეზე შენარჩუნების მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარების პროცესს, რომელიც გავლენას ახდენს დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების მიღწევაზე

ბიზნესუწყვეტების ინციდენტებად განიხილება:

- სტიქიურ უბედურება, მათ შორის ხანძარი წყალდიდობა, ღვარცოფი და სხვა;
- უნივერსიტეტის ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ჰაკერული ან ვირუსული შეტევები, ასევე ინფრასტრუქტურის ფიზიკურ დაზიანება;
- ელექტრო ენერჯით მომარაგების წყვეტა, მათ შორის მოკლე ვადიანი;
- ინტერნეტთან წვდომის შეფერხება;
- ეპიდემიური დაავადებების გავრცელება;
- და სხვა სახის ტექნოგენური და ბუნებრივი სახის კატაკლიზმები, რომელსაც შეუძლიათ შეაფერხოს უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების და კვლევის ნორმალური პროცესები.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, შესაბამის სამსახურებთან კოორდინაციით (საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, შესყიდვების სამსახური, მატერიალური რესურსების მართვის სამსახური), უზრუნველყოფს საქმიანობას განხორციელებას, რათა მოახდინოს ბიზნესუწყვეტების ინციდენტების დროული რეაგირება და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობა საუნივერსიტეტო სივრცეში.

სტიქიურ უბედურების, მათ შორის ხანძრის, უნივერსიტეტის ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ჰაკერული ან ვირუსული შეტევების, ასევე ინფრასტრუქტურის ფიზიკურ დაზიანების, ენერჯო მომარაგების შეწყვეტისა და ეპიდემიური დაავადებების შემთხვევაში რისკების მართვის მიზნით უნივერსიტეტში მოქმედებს შესაბამისი ნორმები და წესები

ინტერნეტ ქსელს უნივერსიტეტი განიხილავს როგორც ცოდნის ტრანსფერის ეფექტურ ინსტრუმენტსა და ეფექტიანი მართვის სისტემის ბაზისს, ამიტომ ქსელთან წვდომის შეფერხების ინციდენტს აღმოსაფხვრელად, რომელიც გრძელდება სულ მცირე 15 დღისა,

ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ალტერნატიული ინტერნეტ სერვისების მომწოდებლისაგან მომსახურების შესყიდვას.

1. ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვის მიზნით:
 - 1.1. უზრუნველყოფს უნივერსიტეტის კრიტიკული ციფრული და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური დაცვას როგორც პროგრამულ, ასევე ფიზიკურ დაზიანებისაგან;
 - 1.2. განხორციელებს უწყვეტ ენერგომომარაგების უზრუნველყოფას შემდეგი სქემით:
 - 1.2.1. ქსელური და სერვერული ინფრასტრუქტურა დაცულია მაღალი ძაბრისგან დამცავი და უწყვეტი ენერგომომარაგების სისტემით (UPS - Uninterruptible Power Supply) სისტემით;
 - 1.2.2. ელექტრო ენერგიის წყვეტის შემთხვევაში, საწყის ეტაპზე, უნივერსიტეტის სარეზერვო ენერგო მომარაგებას ახდენს ელექტროგენერაციის სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს ქსელური და სერვერული ინფრასტრუქტურის, ასევე შენობის შიდა განათების სისტემის ფუნქციონირებას მინიმუმ 30 წუთის მანძილზე.
 - 1.2.3. შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისათვის სავალდებულოა რომ სარეზერვო სქემით მოხდეს უწყვეტი ენერგომომარაგება:
 - რექტორისა და ადმინისტრაციის ხელძღვანელის აპარატები;
 - ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური;
 - ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური;
 - სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;
 - ხარისხის მართვის სამსახური;
 - კანცელარია.
 - 1.3. ქსელური და სერვერული ინფრასტრუქტურის მაღალი ტემპერატურებისაგანა და ცეცხლისაგან დაცვის მიზნით ხდება სათავსოების ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით აღჭურვა და ჰაერის კონდიციონირება;
 - 1.4. უნივერსიტეტის საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და ელექტრო ენერგიის შეწყვეტის შემთხვევაში ხორციელდება კრიტიკული ინფორმაციის შემცველი მონაცემთა ბაზების შენახვისა და დაცვის უზრუნველყოფის საქმიანობები.,
 - 1.4.1. ხორციელდება კრიტიკული ინფორმაციის მფლობელ სტრუქტურებში (ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კანცელარია, დეკანატი) არსებული ინფორმაციის რეზერვაცია სერვერზე და ინტერნეტ სივრცეში;
2. რისკების მართვის საქმიანობის ფარგლებში კრიტიკული ინფორმაციის რეზერვირებისათვის უნივერსიტეტის თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს უზრუნველყოფს :
 - 2.1. შექმნილი, დამუშავებული და გამოყენებადი ინფორმაციის პერიოდულ (თვეში ერთხელ) სარეზერვო ასლების შენახვას;
 - 2.2. უზრუნველყოფს შენახული ინფორმაციის აქტუალურობისა და სისრულეს უზრუნველსაყოფად, როგორც სისტემატიურად ასევე საჭიროების შემთხვევაში, ახდენს მის მფლობელობაში არსებულ ძველი ინფორმაციის წაშლა და ახლის ჩანაცვლებას;

2.3. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაცულობის უზრუნველსაყოფად წელიწადში 4 ჯერ აწვდის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს რეზერვების მიზნით.

საგანგებო სიტუაციების (სტიქიური/ბუნებრივი მოვლენების ან/და ადამიანთა დივერსიული ქმედებიდან გამომდინარე) შემთხვევაში განხორციელებს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დადგენილი რეგულაციებისა და მექანიზმების შესაბამისად ღონისძიებები.

საგანგებო შემთხვევაში რექტორი მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

კრიტიკულ შემთხვევაში (ტერაქტების, შენობათა ნგრევის, ფართომასშტაბიანი სტიქიური უბედურებებისა და სხვა ადამიანებისათვის მაღალი საშიშროების შემცველ შემთხვევაში) უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები ვალდებული არიან საევაკუაციო გეგმის შესაბამისად დაუყონებლივ უზრუნველყონ ადამიანთა უსაფრთხო ადგილებში გაყვანის სამუშაოების ორგანიზებაზე და დახმარების მიზნით მიმართონ ადგილობრივ და ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებს.

ნებისმიერ სერიოზული პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში, მათ შორის უნივერსიტეტის ინფორმაციული ინფრასტრუქტურაზე ჰაკერული ან ვირუსული შეტევებისას, გარდა დაბალი რისკის მქონე შეფერხებისა, უნივერსიტეტის შესაბამის საინფორმაციო არხების საშუალებით სტუდენტურ, ადმინისტრაციულ და დამხმარე კონტინგენტსა და სტუმრებს უნდა მიეწოდოს რელევანტური და თანადროული ინფორმაცია, სადაც იქნება მითითებული პრობლემის არსი, რეკომენდაციები და იმ უნივერსიტეტის სტრუქტურის ერთეულის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც უფლებამოსილია კვალიფიცირებული დახმარების მიწოდებაზე.

ინფორმაციული სფეროში ბიზნესუწყვეტების ინციდენტების აღმოფხვრისას უპირველეს ყოვლისა მოწმდება არსებული ინფრასტრუქტურის ტექნიკური და პროგრამული მთლიანობა, აგრეთვე მონაცემთა ბაზების თანადროულობა და შეუფერხებელი წვდომა. საჭიროების შემთხვევაში მოხდება სარეზერვო ასლებიდან აღდგენა. სავალდებულოა სამუშაოების დოკუმენტირება.

რისკების აღმოფხვრის შემდგომ ბიზნესუწყვეტების ინციდენტების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი ბიზნესუწყვეტების ინციდენტების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები აწარმოებენ უნივერსიტეტში სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო პროცესის აღდგენას უნივერსიტეტში მოქმედებს ნორმებისა და წესების დაცვით.

ბიზნესუწყვეტების ინციდენტების შესახებ შესაბამისი ბიზნესუწყვეტების ინციდენტების აღმოფხვრაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ ინფორმაციის აღწერას და აღწერას, ხოლო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ყოველი წელს ახდენს ბიზნეს ინციდენტების ანალიზს, შეიმუშავებს პროცედურების გაუმჯობესების რეკომენდაციებს და წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.